პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 9 ოქტომბერი 1925 წ. ნოლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

ფიროლა ალმიელი

229 (927) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ეკანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ.

მზადება საბჭოების მომავალ არჩევნებისათვის

მომავალი წლის ივნვარ-თებერვალში, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ისე ჩვენთანაც დაიწყება საბჭოების ხელახალი არჩევნები. ამ არჩევნების მიზანია ჯამი გაუკეთოს აქნობამდე გატარებულ მუშაობას და ახალი ძალებისა და მცხოვრებთა ფართო მასის ჩაბმით კიდევ უფრო წინ წასწიონ და გამოაცოცხლონ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობა ყოველ დარგში.

ჯერ კიდევ საკმაო დრო რჩება საბჭოთა არჩევნებამდე. ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად ეს ხანგრძლივი პერიოდი, (თითქმის 3 თვეზე მეტი) ყოველმხრივ უნდა გამოიყენონ ადგ. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, არჩევნების ნაყოფიერად ჩასატარებლად.

არჩევნებთან დაკავშირებით სათანადო კამპანიის გატარება აქედანვე უნდა დაიწყოს. სოფლად და ქალაქებში—გლეხებისა და მუშების კრებებზე უნდა დაისვას მოხსენებები ადგ. საბჭოთა ორგანოების მიერ აქნობამდე გატარებულ მუშაობაზე, სადაც ფართოდ უნდა გაშუქდეს, როგორც მიღწევები, ისე დაშვებული შეცდომები, რომ ახლად არჩეულმა საბჭომ შესძლოს ამ შეცდომების გამოსწორება.

ამასთანავე ერთად ჩვენ ვიცით, რომ წარსული არჩევნების დროს ადგილებზე მომუშავეები ამ საკითხს ვერ უდგებოდნენ სწორად და ბევრ ადგილას თავიანთი არა კანონიერი მოქმედებით იწვევდნენ გლეხობისა და მუშების სამართლიან უკმაყოფილებას. ჩვენი ორგანოების ასეთ შეცდომებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეა, როგორც ჩვენმა პარტიამ, ისე გატარებულმა საბჭოთა ყრილობებმა, რის შედეგად ჩვენ მივიღეთ მუშებისა და გლეხების აქტივობის გაზრდა და მათი საკმაო რიცხვის ჩაბმა საბჭოთა ყოველგვარ მუშაობაში.

რაც შეეხება მომავალ არჩევნებს, ეს კი ძირიან-ფესვიანად ჩუნდა განსხვავდებოდეს წარსულ არჩევნებისაგან. წარსულში თუ ადგილი ჰქონდა არჩევნების დროს მრავალ შეცდომებს და თუ წარსულში ეს არჩევნები ტარდებოდა წინასწარი მუშაობის გაუტარებლად, მომავალი არჩევნების დროს ეს აღარ უნდა განმეორდეს. მთავარი ყურადღება სწორედ ამ წინასწარი მუშაობის ნაყოფიერად ჩატარებას უნდა მიექცეს. ამიტომაა, რომ ეს წინასწარი მუშაობა სამი თვით ადრე იწყება, სანამ თვით ეს არჩევნები დაიწყებოდეს.

ამ წინასწარი მუშაობის გატარებაში სხვებს არ უნდა ჩამორჩენ ჩვენი ჯარის ნაწილებიდან უვადო და მოკლე ვადიან შვებულებაში წასული წითელ არმიელები. ისინი ყოველ მხრივ უნდა დაეხმარონ ადგ. საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს ამ მუშაობის ნაყოფიერად ჩატარების საქმეში.

ლოკარნოს კონფერენცია.

5 ოქტომბერს, შვეიცარიის სამხრეთ ქალაქში ლოკარნოში, გაიხსნა ანტანტის სახელმწიფოების და გერმანიის წარმომადგენლთა კონფერენცია საგარანტიო ხელშეკრულების საკითხის შესახებ. ის ფაქტი, რომ კონფერენციაზე ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის კონსერვატორ ჩემბერლენის თავმჯდომარეობით გაიხსნა, აშკარად იმის მდღელდენელია, რომ კონფერენციის მუშაობა ინგლისის ბატონობის ნიშნის ქვეშ გაივლის. წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ საგარანტიო ხელშეკრულების წარმოშობის ისტორია და ისიც თუ ვის წინააღმდეგაა ის მიმართული.

მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში საერთაშორისო მდგომარეობაში იმოდენ დიდი ცვლილებები მოხდა, ამბ. ჩიჩერინის პოლონეთ და გერმანიაში გამგზავრების შემდეგ, რომ მისი აღნიშვნა აუცილებელი საჭიროა.

ინგლისი მოწადინებულია გერმანია ჩაითრიოს იმ მტრულ პოლიტიკაში, რომელსაც ის აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის ამისათვის ცდილობს მოარიგოს გერმანია და საფრანგეთი. ინგლისი ბევრ კეთილ დაპირებებს აძლევს გერმანიას. ჰპირდება მისი დასავლეთ ოლქების ფრანგის ჯარებისაგან დაცვას, რომლ ბიც დროებით დაიკავა ფრანგებმა გერმანიისაგან კონტრიბუციის აღებამდე. სამაგიეროდ გერმანია ვალდებულია უყოყმანოდ მიიღოს საგარანტიო ხელშეკრულება, რომელიც გერმანიისათვის მოასწავებს საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დარღვევას და სწორედ ამ საკითხის გარშემო (ცნობილი მე-16 მუხლი) ეხლა დავა და ვაჭრობა გერმანიასა და ანტანტას შორის. გერმანიის მმართველებს კვლავ შესწევთ გონიერება, რომ მომავალ და საეჭვო უპირატესობისათვის არ გასწყვეტონ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირი, რომელიც რეალურ (არსებითად) სარგებლობას აძლევს ორივე მხარეს.

გერმანიამ ამბ. ჩიჩერინის ბერლინში ჩასვლის შემდეგ, თავისი პოზიცია უფრო ნათლად გამოარკვია ამ საკითხში. გერმანიას და პოლონეთს შორის არა ნაკლები დავაა, ვიდრე გერმანიას და საფრანგეთს შორის. ამბ. ჩიჩერინის ვარშავაში ჩასვლამ არა მარტო საბჭოთა და პოლონეთის ურთიერთობა გააუმჯობესა, არამედ საკმაოდ შეანელა გერმანია-პოლონეთის ურთიერთობის სიმწვავე. გერმანია დარწმუნებული, რომ მას აღმოსავლეთით არ მოელის საფრთხე და ამიტომ ის ცოტათ თუ ბევრათ თავისუფლად გრძნობს თავს ლოკარნოში და დათმობის ნაკლებ სურვილს იჩენს.

გერმანიის მთავრობა და პრესა აცხადებს, რომ თუ გერმანიამ მიიღო საგარანტიო ხელშეკრულება, მხოლოდ მე-16 მუხლის გამოკლებით მოხდება ესო და ის უკანასკნელი (მიღება) სრულიად არ უარყოფს საბჭოთა-გერმანიის ურთიერთობასო. ამ აზრის დასამტკიცებლად გერმანიის მთავრობამ კიდევაც გადასდგა ნაბიჯი. დიდი ხნით წარმოებული სავაჭრო საკითხების შესახებ მოლაპარაკება საბჭოთა და გერმანიის შორის ეხლახან დასრულდა და მასზე ორივე მხარემ ხელი მოაწერა. ეს ხელშეკრულება დიდ როლს ითამაშებს გერმანიის და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარების საქმეში.

მოწესრიგდა გარდა ამისა სხვა მრავალი სადავო საკითხი. შესაძლებელია, ინგლისმა გამიმარჯვოს იქნებ, ლოკარნოში და თავის ნება მოახვიოს გერმანიას, მაგრამ ამას ექნება დიდი ღირებულება? არა. ვინაიდან ვერც ლოკარნოს, ისე როგორც წინანდელი სხვა კონფერენციები, ვერ შესძლებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობის დაძლევას და ჩვენს წინააღმდეგ მთლიან ფრონტის აღმართვას.

X.

ახალი რადიო-ამბები

ჩეხო-სლოვაკიაში იზრდება ლტოლვა საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობისაკენ.

საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ კმენტმა განაცხადა:

„ჩეხო—სლოვაკიის მუშები მოითხოვენ მთავრობისაგან საბჭოთა კავშირის ცნობას იურიდიულად. ჩეხო—სლოვაკიის მუშები ამით მეტად დაინტერესებული არიან, ვინაიდან ჩეხო—სლოვაკია გაჭირვებულია გასასადგილო ბაზრის უქონლობის გამო.

საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ უკანასკნელ დროს ალაპარაკდა აგრეთვე სამრეწველო ბურჟუაზიაც.

ცნობისაკენ ლტოლვა უფრო გაძლიერდება საბჭოთა კავშირიდან დელეგაციის დაბრუნების შემდეგ.

დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში გამოიწვია მუშების დიდი ნებითი მოთხოვნილებამ, რათა საბჭოთა კავშირის დათვალიერების შემდეგ გავლენა მოეხდინათ მთავრობისთვის ცნობის საკითხში.

დელეგაციის მოგზაურობის მეორე მიზანია მუშათა მოძრაობის ერთიანი ფრონტის დამყარების გაძლიერება.

ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ახალი მმართველობის წლის თავი.

5 ოქტომბერს შესრულდა წლის თავი, რაც რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველობა აიღო ხელში ჩინეთ-საბჭოთა ახალმა ადმინისტრაციამ.

გზის მმართველმა ივანოვმა მოხსენებაში გზის მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ გზის ფინანსიური მდგომარეობა საუცხოოა. ზაფხულის განმავლობაში ჩატარებულ ოქმა დიდი საღმშენებლო მუშაობა: აგებულ იქნა რამოდენიმე ახალი სკოლა, სადგური, კონდუქტორთა ბრიგადების ბინები. გზის ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა ფართე მასებს შორის დამყარებულ იქნა ურთიერთ გაგება და მეგობრული დამოკიდებულება.

ინგლისის კანტორის მომუშავეთა წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის შესახებ.

ინგლისში დაბრუნდა მოსკოვში და ლენინგრადში სტუმრად ჩამოსული ინგლისის საკანტორო შრომის პროფკავშირის წარმომადგენელი ქალები ფლორენს, მაკდონალდი, დერიო და როდერი, რომლებმაც შეისწავლეს საბჭოთა კავშირში სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების შრომის პირობები.

ინგლისის დელეგატებმა საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში განაცხადეს, რომ ისინი გაკვირვა იმ განსაკუთრებულმა ყურადღებამ, რომელიც ექცევა საბჭოთა კავშირში მუშა ქალებს.

მეორე საგლეხო სესხის გამოშვების მომზადება.

საბჭოთა კავშირის ცაკასა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით (7 ოქტ.) 1-ლ ნოემბრისთვის საგლეხო მეორე მომგებიანი სესხის გამოშვების შესახებ, ტელეგრაფის სააგენტოს წარმომადგენელს ფინანსთა კომისარიატის სახელმწიფო სესხის განყოფილებაში აცნობეს, რომ სესხის გამოშვების საორგანიზაციო მოსამზადებელი მუშაობის მეტი ნაწილი დამთავრებულია და მისი განაღლება მოხდება მთავრობის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

საბჭოთა კავშირში

ამერიკის რადიო-ჟურნალის შეკითხვა.

საბჭოთა კავშირში მოვიდა შეკითხვა ამერიკულ რადიო-ჟურნალიდან, რომელიც სთხოვს საზღვარ-გარეთთან კავშირის საზოგადოებას აცნობოს, თუ რამდენად მართალია ხმები ნიჟნი-ნოვგოროდის რადიო სადგურის სიძლიერის შესახებ, რომელიც გაცილებით ძლიერია ამერიკის რადიო-სადგურ დეფენზეო.

ნიჟნი-ნოვგოროდში მართლაც მოწყობილია რადიო-გადამცემი მოკლე-ტალღიანი სადგური, რომელიც მიმართულია ტაშკენტისა და შორეულ აღმოსავლეთისაკენ. ცდებმა გვიჩვენეს, რომ ამ სადგურის მუშაობა მშვენივრად ისმის ჩრდილოეთ და სამხრეთ-ამერიკაში, აფრიკასა და ავსტრალიაში.

მოსკოვში წამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია.

7 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია. დელეგაციას სადგურში შეეგება მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები პროფკავშირებიდან. სადგურის ახლოს გაიმართა მოკლე მიტინგი.

დელეგაცია დარჩება მოსკოვში 4-5 დღე, რომლის შემდეგ წავლენ პროვინციებში.

საუბარი ჩეხოსლოვაკიის მუშათა დელეგაციის მდივანთან.

საბჭოთა ტელეგრაფის საგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის მდივანმა კოლსკიმ განაცხადა:

„მუშათა დელეგაციის გამოგზავნის თაობაზე ეკუთვნის ჩეხო-სლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საბჭოს. საბჭოს ამ გადაწყვეტილებამ აღაფოთა ბურჟუაზია, სოციალ-დემოკრატები და ფაბრიკანტები. მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა დელეგაციამ მაინც შესძლო გამომგზავრება. მუშები დიდის ხალისით სწირავდენ თავიანთ გროშებს დელეგაციის სამგზავრო ხარჯებისთვის“.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲔᲓᲐᲡ.

დედავ მივიღე შენი წერილი
ჰკუას მარიგებ რომ ვიყო მარჯვედ.
შუბლი ფიქრებით გადასერილი
კვლავ ითხოვს ბრძოლას, კვლავ ითხოვს გარჯას.
დედავ მასწავლეს აქ ანაბანი
ვიცი რა ხდება ჩვენს იქით, სხვაგან.
ჩვენ შემოგვცქერის მთელი ქვეყანა,
მრავალი შური და მტრობა გვარგენ.
გავიგე ვინ გვყავს მტერი, მოყვარე,
ვისთვისაც უნდა გვიმგერდეს გული.
ვფიცავ უთუოდ დავიცავ მხარე
ათას თვალთაგან შემორგული.
მახსოვს რომ მამა ამბობდა ხმირად,
რომ სალდათობას ციმბირად თვლიდენ.
დღეს ჯარისკაცი არც ვიგდებ ჩრდილ
თუ გინდ თოფებთან ლმენიც ვოვლემდე.
დედავ ჩამოვალ ნასწავლი ვიქ
სოფელსაც უფრო გამოვადგები.
ტკბილად იცხოვრე და გამიკეთდი
ნუ ფიქრობ დედავ ჩემზე მაგოდენს.

წ. ᲐᲛ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲓᲔᲓᲐᲡ.

საბჭოთა ხორცეულის ნაწარმოები აუცხოეთის ბაზარზე.

ჩვენი ხორცეულის ნაწარმოები (კონსერვები, ძეხვები და სხვა) ომის დროს განდევნილ იქნა უცხოეთის ბაზრიდან ამერიკისა და ავსტრალიის ნაწარმოების მიერ.

ჩვენი ხორცის ნაწარმოების პირველ პარტიას დიდი მოთხოვნილება აქვს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და ჩეხო-სლოვაკიის ბაზრებზე.

მსოფლიო ბაზრის განხილვამ დაგვანახა, რომ უახლოეს მომავალ წლების განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია გავიტანოთ ხორცის ნაწარმოები გაცილებით მეტი, 1913 წელთან შედარებით, როცა გასაღებულ იქნა სულ 10 მილიონი მანეთის ნაწარმოები.

სამხედრო საქმე

ყოველი მსროლელი კარბი გრენადერი უნდა იყოს.

ხშირია ბრძოლაში ისეთი შემთხვევა, როცა საფარში ჩამჯდარ მტერს ვერაფერს ვერ უბერხებ. ტყვია მას ვერ უდგება, არტილერიიდან სროლა არ შეიძლება, ვინაიდან ჩვენი მეომრების მტერთან ახლოა ყოფნის გამო, შეიძლება ჩვენებივე დავზოგოთ. ეი ასეთ შემთხვევაში დაუფასებელია გრანატა. ის დიდ ხარალს აყენებს მტერს, თავის აფეთქებით მოქმედობს მის გრძნობაზე, ე. ი. უმეტეს შემთხვევაში იმდენ შიშს მიაყენებს, რომ მტერი გარბის; ის ეწევა თოფისა და ტყვიამფრქვევის მაგიერობას, როცა გოროკვები, ხეები, შენობები, თხრილები და სხვა ხელს უშლის ცეცხლის წარმოებას ოა ბოლოს გრანატა ნაწილობრივ სწევს არტილერიის მაგიერობას, როცა უკანასკნელიდან სროლა შეუძლებელია.

ამრიგად გრანატების ხმარების შემთხვევა მეტად ხშირია და მათი ინონშვნელობა—დიდი, ამიტომ თვითეული მსროლელი უნდა იყოს კარგი გრენადერი (გრანატის მტყორცნელი). ამისათვის საჭიროა მან კარგად იცოდეს გრანატის აგებულება. შეეძლოს გრანატისადმი სწორად მოქცევა და მოქმედება; მაგრამ ეს ცოტაა—უნდა შეეძლოს თავის დროზე გრანატის ხმარება.

პირველ ყოვლისა მსროლელმა უნდა იცოდეს, თუ როგორია აგებული გრანატა, როგორ უნდა აფეთქო ის, როგორ უნდა შეინახო ის, როგორ უნდა მოამზადო გასატყორცნად, როგორ უნდა გასტყორცნო და სხვ. ყველაფერი ეს მოითხოვს გრანატის ყურადღებით შესწავლას. უმთავრესი და სერიოზული ამ საქმეში—ეს არის პრაქტიკული მეცადინეობა, რომლითაც მთავრდება გრენადერების სწავლა.

უნდა გვახსოვდეს, რომ გრანატა მტრისთვის საშიშარი იარაღია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რომ ის მკოდნე და გამოცდილ გრენადერის ხელშია. ამიტომ მთელი სამსახურის განმავლობაში ეს გრანატის ხმარების ცოდნა უნდა ვითარდებოდეს ყოველდღიური ვარჯიშობის საშვალებით. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება გრენადერი თავის ალაგს.

Თ.

მეტი ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲣᲛᲬᲧᲝᲑᲠᲝᲕᲔᲑᲡ.

ჩვენ შეჩვეული ვართ უმწყობროელებისადმი ერთგვარი მეტადურობით მოპყრობას. ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ზურგის არმიელი ომის დროს არ განიცდის არავითარ საშიშროებას, ვინაიდან ის მუშაობს საღამოს მოშორებით, ფრონტზე მშვიდობიან პირობებში. მაგრამ ეხლა ეს ასე არ არის.

ჯერ უმწყობროელებსაც მრძოლის ველზე მუშობის დროს, ყოველ წუთში მოელის უშუალო საშიშროება; მაგრამ ამათზე რომ არ ვილაპარაკოდ, ზურგის არმიელებიც არ არიან დაზღვეული საშიშროებისაგან: მათაც, ღრმა ზურგში, ხშირად ესხმიან თავს მტრის ავიაცია. ჰაერიპლანების განუწყვეტელი გადმოფრენა, გამანადგურებელი და ქიმიურ ბომბების ჩამოგდება, არა რაღლაც საშიშროებას ჰქმნის ზურგისთვის, ვინემ ფრონტზე- ზურგის მომუშავეს. არა ნაკლები გამბედაობა მოითხოვებათ დღეს, ვიდრე ფრონტის მეომრებს.

ყველასათვის ცხადია, რომ თუ რომ ზურგი კარგად არაა გამაგრებული, ბრძოლაში წარმატება შეუძლებელია.

ავიღოთ მომარაგების ნაწილები, რომლებიც აწვდიან მეომრებს ბრძოლისა და კვებისათვის აუცილებელ მასალებს.

თუ რომ მათი მუშაობა შეწყდება, საწყობრო ნაწილებს ეკარგებათ ბრძოლის უნარი, ხოლო რაკი ეს ასეა, მტერი, როგორც იტყვიან, შიშველი ხელებით მოგვერევა. ეხლა გასაგებია, თუ შეტევაზე გადმოსული მტერი, რატომ სცდილობს გადაუჭრას გზა, ე. ი. მოსწყვიტოს მოწინააღმდეგე სასურსათო და ტყვია-წამლის საწყობებს.

ავიღოთ სანიტარული მომუშავეებისა—ექიმების, მოწყალების დების, სანიტრების მუშაობა. ეს ხალხი უაღრესად თავდადებულნი უნდა იყვნენ.

ისინი ხომ ტყვიებისა და ყუმბარების ცეცხლში მუშაობენ: ეხმარებიან დაჭრილებს, მოწამლულებს, გამოჰყავთ ისინი ბრძოლის ხაზიდან, ექიმობენ მათ, ერთი სიტყვით ყოველ წუთში განწირული აქვთ თავი. და რამდენადაც ყურადღებიანი და კეთილსინდისიერია მათი მუშაობა—იმდენად მეტი მებრძოლი ინარჩუნებს თავიანთ სიცოცხლეს.

მაშასადამე უმწყობროები, სადაც არ უნდა იმყოფებოდენ ისინი (ფრონტზე თუ ზურგში) საბრძოლო მოქმედების დღევანდელ პირობებში პასუხის აგებელი არიან, ეწევიან მძიმე საძსაბურს და ყოველ წუთში ხიფათი მოელის. ისე, როგორც ყოველ მებრძოლს. ამი მუშაობა საპიროა ჯარებისთვის ისევე, როგორც, ვსთქვათ, ჰაერი და კვება ადამიანისთვის.

საჭიროა აღვნიშნოდ, რომ უმწყობრებს, პირველ ყოვლისა, უნდა შეეძლოთ კარგად დაიცვნ თავი და ქონება აირისაგან. მაგასადამე ისინი გაცნობილ უნდა იქნან სამხედრო-ქიმიურ საქმეს. ამას გარდა მომარაგების ნაწილების უმწყობროები უნდა იყვენ კარგი მსროლელები, რომლებსაც შეეძლოთ საწყობებზე და საბარგულებზე გადმოფრენილ მტრის ჰაეროპლანების უკუქცევა.

ხოლო იმ ნაწილებმა, რომლებსაც ომის დროს მოუწევთ სანიტრების როლის ასრულება, გარდა სამხედრო ქიმიურ საქმისა, უნდა იცოდენ ავრეთვე სამხედრო სანიტარული ტექნიკაც.

ამ რიგად ზურგის არმიელის მუშაობა წითელი არმიის ძლიერების აღმშენებლობის საქმეში არც ისე ადვილია და არაფრითაც არ განსხვავდება რიგის მებრძოლის მუშაობისგან.

Თ.

დარიგება 1903 წელში დაბადებულ ახალწვეულებს.

თქვენ, მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში შემავალნო, გაძლევთ ჩვენ შემდეგ დარიგებას:

1. გახსოვდეთ, რომ წითელი არმია დაბადებულია რევოლიუციის ცეცხლში, რომ ის შექმნილია მუშებისა და გლეხების მიერ მთელს ქვეყნიერებაზე ერთად-ერთი საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ხელისუფლების დასაცავად.

შედიხართ რა მის რიგებში, იყავით მტკიცე, შეურყეველი ნამდვილ-არმიელის მაღალი წოდების ღირსი მეომრები.

2. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ბევრი მტერი გვყავს.

მთელი ქვეყნის კაპიტალისტები, მემამულეები და მჩაგვრელები მოხერხებულ დროს უცდიან, რომ თავს დაესხან საბჭოთა რესპუბლიკას. ჩვენი წითელი არმია კარგად გაწვრთნილი და ყოველ წუთში მზად უნდა იყოს, რათა პასუხი გასცეს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მომხდარ მტერს. იდექით მტკიცედ სადარაჯოზე.

3. საბჭოთა კავშირი შეიქმნა და განმტკიცდა წითელი არმიის გამარჯვებათა მეოხებით. მისი მფარველობის ქვეშ ეს კავშირი გაიზარდა ძლიერ ძალად, რომელსაც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ჩვენმა მტრებმა, ამაგრეთ ეს ძალა, დაიცავით ჩვენი ძლიერება.

4. იარაღი, რომელიც თქვენ განდო საბჭოთა კავშირმა, გიყვარდეთ, აფასებდეთ, უფრთხილდებოდეთ. ეს იარაღი ეგერება მხოლოდ მშრომელებს. ის უნდა იყოს საიმედო ხელში.

დღე, წითელი შაშხანა მძლავრად გრძნობდეს ლულაზე შემოპერილ, მშრომელთა დაკორძებულ ხელს და მარჯვედ ხვდებოდეს მუშების და გლეხების მტრებს.

5. ამბ. ლენინის ხელმძღვანელობის ქვეშ წითელმა არმიამ საომარ-ალაქო ომის ფრონტებზე ბრძოლაში განამტკიცა მუშებისა და გლეხების კავშირი. ლენინის ანდერძები უნდა იყოს ყოველი წითელ არმიელის გულში.

დღე, ყოველი ჩვენგანი მიდიოდეს დიადი ბელადის მიერ ნაჩვენები გზით: რ. კ. პ. (ბ)-ს ხელმძღვანელობით.

6. ჩვენი მტრები თავით ფეხამდი შეიარაღებული არიან. რომ მათ გაუმკლავდეთ, საჭიროა კარგად შევითვისოდ სამხედრო საქმე. წითელი არმიის ცხოვრება და სწავლა დაყარებულია თვითეული მეომრის შეგნებისა და თვითმოქმედების განვითარებაზე. იცოდეთ, რომ წითელ-არმიაში თქვენ მოგელის არა დასვენება, არა გართობა, არამედ გაძლიერებული ხანგრძლივი სწავლა, და შეიძლება, ბრძოლებში გამოცდაც. თქვენს ერთგულებაზეა დამოკიდებული არმიის ბრძოლის უნარიანობა. იბრძოლეთ ერთგულად სამხედრო ცოდნათა შეძენისათვის.

7. არმიის არსებობა უდისციპლინოდ შეუძლებელია. გახსოვდეთ ლენინის სიტყვები: „ვინც სულითა და გულით არ ეხმარება წითელ-არმიას, არ იცავს მასში დისციპლინასა და წესრიგს—ის გამცემი და მოღალატეა.“

8. შეგნება, პოლიტიკური განვითარება, ამხანაგური შემეწიდრობა—წითელი არმიის საფუძველია. წითელ ყაზარმაში თქვენ გელოდებათ სკოლა, კლუბი, პოლიტიკური ცოდნა. ნუ დაჰკარგავთ დროს, ისარგებლეთ სწავლის შესაძლებლობით. ეცადეთ გამოხვიდეთ ყაზარმიდან შეგნებულ მოქალაქეებად.

9. გახსოვდეთ, რომ კომუნისტური პარტია დაუღალავად მუშაობს წითელი არმიის გაძლიერების საქმეში. გეპიროოთ მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირი ნაწილის უჯრედთან. ეიგაჩნდეთ კომუნისტები, როგორც თქვენი საუკეთესო ამხანაგები.

10. წითელი არმია—მუშებისა და გლეხების შვილია. წითელი არმიის კავშირი მუშებსა და გლეხებთან—საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცებისა და გაძლიერების საქმის საფუძველია. გეპიროოთ მუდმივი კავშირი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებთან.

11. წითელარმიელი სძულს მთელი ქვეყნების კაპიტალისტებსა და მემამულეებს, მაგრამ მაზე დიდ იმედებს ამყარებენ ყველა ქვეყნების ჩაგრული მუშები და გლეხები. გახსოვდეთ, რომ თქვენ მზათ უნდა იყვეთ—პირველ დაძახილზევე მიეშველოთ თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელებს.

წვევამდელნო, გახსოვდეთ ჩვენი დარიგება!

იყავით ღირსეული ცვლა!

გაბედულად იარეთ წ ნ, სულით ნთელო და მხნე მებრძოლებო!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების კავშირს!

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ). ᲢᲧᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ.

ცვალებადელების გაცილება

ტერ არმიელთა გამოსათხოვარი კრება.

6-ე ლეგიონი.

6 ოქტომბერს ლეგიონში შესდგა ვეშაპულებში მიმავალ ტერ-არმიელთა გამოსათხოვარი კრება.

კრებაზე მოხსენებებით გამოვიდენ ლეგიონის მეთაური და საბჭომი, რომლებიც დაწვრილებით შეეხენ ტერ-სისტემის მნიშვნელობას, ტერ-არმიელთა მომზადების საქმეს და მათ მოვალეობას შეკრებიდან-შეკრებამდე.

მომმხსენებლებმა იმედი გამოსთქვეს, რომ ნაწილში მიღებულ ცოდნას ფართოდ გაავრცელებენ სოფლის გლეხობაში და ამასთანავე ერთად მჭიდრო კავშირს დაიჭერენ თავის ლეგიონთან. საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ რამოდენიმე ტერ-არმიელები ქართველები, რუსები, სომხები, თათრები და გერმანელები, რომლებიც კომუნისტებმა ეროვნულ-ეროვნულ ენებზე ასეთ ფიქრებს გამოსთქვამდენ ნაწილში მეცადინეობით და ფიცი დასდვეს ამხანაგების სახელით, რომ ერთი წუთითაც არ დაივიწყებენ მათ აღმზრდელ აუზარმას და საჭიროების დროს ფიცხლავ დაირაზმებიან თავიანთ ასეულებში.

12 საათი იქნებოდა, როდესაც ლეგიონი საუცხოო სურათს წარმოადგენდა. ვეშაპულებში მიმავალი ტერ-არმიელები გულმხურვალედ ეშვიდობებოდენ ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობას და ძირედ წითელ-არმიელებს.

ბოლოს აბხანაგები სიმღერით—მხიარულად გაეშურენ თავიანთი სოფლებისაკენ.

აუზარმა ისევ მიყურადა, ახალი ტერ-არმიელების ახალი ცვლის მოლოდინში.

სამხკორი ე—ლი.

ლეგიონმა შეასრულა თავისი მოვალეობა.

6-ე ლეგიონი.

ჩვენმა ნაწილმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა. მან საკმაოდ გაწვრთნილი, მომზადებული და ახალი ცხოვრებისთვის გამოსადეგი ცვალებადელები დაიბრუნა ჩვენს სოფლებს. სამი თვის აუზარმაში ყოფნამ ეს ამხანაგები გაათვითცნობიერა პოლიტიკურად და კულტურულად და აღჭურვა საჭირო სამხედრო ცოდნით.

გაშვების წინ ლეგიონის ხელმძღვანელებმა იმედი გამოსთქვეს, რომ ეს ამხანაგები პირნათლად მოიხდიან თავის ვალს ლეგიონის წინაშე, თუ ისინი მთელ თავის უყურადღებას მიაქცევენ სახლში მისვლისას იმ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც მათ ევალებს საბჭოთა ხელისუფლება.

ეს იმედები ცვალებადელებმა ჯერ-ჯერობით გამართლეს, იმით, რომ წასვლის წინ ისინი შესაფერი ფიცით გამოვიდენ ლეგიონში და აღუთქვეს თავის უფროსებს ყველა დავალებების შესრულება.

გაუმარჯოს ჩვენი ტერ-არმიელების სოფლად მუშაობას, და გაუმარჯოს მათი აღმზრდელების შემდეგ ნაყოფიერ მუშაობას.

წ. არმ. მ. კუპრაშვილი.

ჩვენი ცვალებადელებიც გაეშურენ სოფლებისაკენ.

(მე-2 არტლეგიონი).

5 ოქტომბერს მეორე არტლეგიონი გაემგზავრა მარილიან ტბებისაკენ, სოლოლაზე და სხვა სამხედრო მოქმედებათა ჩასატარებლად. ნაწილის ყოველგვარ მოქმედებას იღებდენ კინო-აპარატებით. ეს უკანასკნელი ვარჯიში და მეცადინეობა იყო ლეგიონის ცვალებად არმიელებთან, რომლებიც მეორე დღესვე მიდიოდენ შვებულებაში.

6 ოქტომბერს დილით დაიწყო ტერ-არმიელების სამხედრისი სიხლში წასავლელათ. გაიმართა საზეიმო გამომშვიდობება, სადაც მრავალი დავალებები მიეცათ ამხანაგებს და მათაც თვის სიპასუხო სიტყვებში აღნიშნეს, რომ ყოველ წუთს მზად იქნებიან საჭიროების დროს სწრაფად მოევლინონ ლეგიონს. მომავლებმა აღუთქვეს აგრეთვე უფროსებს, რომ ისინი არ გაწყვეტენ კავშირს ნაწილსა და გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქციასთან.

ვლ. ნავრუზაშვილი.

გამოასწორეთ ნაკლულევანებანი.

მე-6 ლეგ. სამხედრო გუნდი.

ლეგიონის სამხედრო გუნდი კარგადაა მოწყობილი ყოველგვარ ტეხნიკური მხარეებით, მაგრამ ზოგიერთი ნაკლი მაინც ახასიათებს მას. ერთი თვე ნახევარი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენს სამხედრო გუნდს არა ჰყავს პოლიტხელი. წითელარმიელები ძალიერ დაინტერესებული არიან პოლიტიკური სწავლით, მაგრამ არ გვყავს ხელმძღვანელი. საჭიროა ჩვენთან ერთი პოლიტხელი მოავლინონ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სამხედრო გუნდის უფროსი ვერ იქცევა კანონიერად. ეს ერთ და იმავე წითელ არმიელებს ძალიან ხშირად უშვებს შვებულებაში, არიან ისეთები, რომლებიც სრულებით არ ყოფილან შვებულებაში, რატომ შეადგენენ გამონაკლისს ისინი? საჭიროა ამას მიეცეს სათანადო ყურადღება.

ხშირად აგრეთვე ზოგიერთი გუნდის უფროსები ძალიერ უდიერად ექცევიან არმიელებს, რაც გამოიხატება უთავბოლო ყვირილში. უნდა იცოდენ, რომ ყვირილით არმიელს ვერაფერს ვასწავლით.

ასეთი შემთხვევა ხშირი იყო და საჭიროა ამასაც ყურადღება მიეცეს ვისგანაც ჯერ არს.

წითელარმიელი ლ. ახობაძე.

ახალ წვეულების მოლოდინში

ვემზადებით ახალ წვეულთა შესახვედრად.

2-ე ლეგიონი.

30 სექტემბერს მეორე ლეგიონში შესდგა მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა აბხ. ელიაშვილისა და თავჯის მოხსენებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდეთ ახალწვეულებს. მომხსენებლებმა სხვათა შორის ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ლეგიონის მთელი შემადგენლობა ვალდებულად უნდა რაღხდეს თავს, რათა ახალწვეულ ამხანაგებს მოსვლისთანავე შევასწაოლთ აუზარმის მნიშვნელობა, მივსცეთ რჩევა დარიგებები დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის და სხ. თითეული წითელ არმიელის ამოცანაა გააცნოს ახალწვეულებს წითელი აუზარმის თვისებურებანი სამხედრო და პოლიტიკურ საქმიანობაშია.

კლუბში არჩეული იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაეკალა ახალწვეულებთან შესახვედრი გეგმის გამომუშავება. განზრახულია ჯერ-ჯერობით მოაწყონ შესახვედრად მეცადინეობები და გასართობები.

შემდეგ კრებამ აირჩია ავიოქიმისა და რემდასის გამგეობები. თან განმარტებული იქნა ხსენებულ ორგანიზაციათა მნიშვნელობა და საქმიანობა.

კრებაზე არჩეული იქნენ აგრეთვე საკავშირო და სამხედრო კომისიის წევრები: კომისიებმა ახალწვეულების მოსკლამდე უნდა მოაგვარონ ყველა საქმეები.

ლეგიონში ამ ჟამად დიდი კულტურული ხასიათის მუშაობა სწარმოებს. ეწყობა საკლუბო დარგი ორგანიზაციულად. ყალიბდება სხვა და სხვა წრეები, იხატება ახალი დეკორაციები, თეატრის შენობა, საკითხველო და სხვ.

სამხკორი ვ. ლ.

მოდიან!

მეთაურთა სკოლა

პრაქტიკის მიხედვით ნაწილებში მივლინებული კურსანტები სკოლას უბრუნდებიან.

სკოლაში მეტი ხალისი და ენერგია. ამ ორ დღეში სკოლა უნდა გაივსოს ყველა კურსანტებით.

კლუბიც გამოაცოცხლებს თავის მუშაობას. ბილიოთეკასაც მიესევიან—მკითხველები.

დღემდის თითქმის ყველა წრეები დაშლილი იყო.

ამ დღეებში მოხდება სწორება და წრეებიც ავსებიან ენერგიით აღსავსე წევრებით.

საკლუბო მუშაობის აქტიური კურსანტები ყველანი ეს არიან.

ისინი სხვებს სამხედრო საქმეშიც არ ჩამოუვარდებიან.

ეზო სავსეა კურსანტებით... ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილან და მსჯელობენ სხვა და სხვა პრაქტიკულ საკითხებზე.

ზოგი მათგანი ლაპარაკობს იმაზე თუ რამდენად სარგებლიანი იყო ნაწილში მივლინება: როგორი გამოცდილება მიიღო და რამდენი წარმოდგენები ჩატარა.

ზოგი ახასიათებენ ახალ წ. კომანდირებს. უმრავლესობა მათით კმაყოფილია.

ზოგი მათგანი სამხედრო ამოცანით, რომელიც კარგად ვერ გაურკვევია—მიმართავს მეთაურს.

ზოგს კიდევ—საკლუბო მუშაობისათვის მასალები დაუგროვებია და ეკითხება წრის ხელმძღვანელს თუ როგორ სჯობია მისი გამოყენება.

— ილია, სამხკორთა ქსელიც უნდა აღვადგინოთ ეუნება ქორიძე ამბობდა.

ამ ბოლო ხანებში სამხკორთა წრეც სავსებით მოიშალა.

ზოგს—ნაწილში „მაფალო“-ელთა გასამართლებაც მოუწყვიათ.

სამხკორი ჩვენი.

ვაწყობთ ლენინის კუთხეს.

1-ლი არტლეგიონის მე-3 სამთო ბატარეია.

ბატარეიაში დღემდი ვერ მოვახერხეთ ლენინის კუთხის მოწყობა, რადგან აუარება დაბრკოლებები გვეღობებოდენ წინ. ამ ჟამად ეს საქმე დაკვრითი ხასიათის საქმედ გავიხადეთ და შეუდექით კუთხის მოწყობას. არჩეული იქნა მომწყობი კომისია, რომელშიდაც წითელ-არმიელებთან ერთად შედიან უფ-შემადგენლობიდანაც. ბატარეიის არმიელების მთელი შემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ამ საქმეში.

მალე კუთხე გვექნება და ჩვენი არმიელებიც მისი მუდმივი სტუმრები იქნებიან.

სამხკორი მოლითისპირელი.

ჩვენი სამხკორთა წრის საქმიანობიდან.

1 ლეგიონი

(დასასრული)

ამ ჟამათ არავითარ დაცინვას, არავითარ დევნას და არავითარ ცენზურას სამხკორებზე ჩვენს ლეგიონში ადგილი არა აქვს. ჩვენს სამხკორებს ნათლად აქვთ გარკვეული გზა, თუ რა უნდა აკეთონ, როგორ მიუდგენ საკითხს და სხვა. ასევე შეიგნეს სამხკორთა მნიშვნელობა ჩვენმა პარტიულ და უპარტიო ამხანაგებმაც. გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქციასთან კარგი კავშირი აქვს ჩვენს სამხკორთა წრეს, ის გვაძლევს საჭირო დირექტივებს და სხვა. ჩვენი სამხკორები გაზეთ „კომუნისტსა“ და „მუშაობაც“ თანამშრომლობენ. მუშკორებთანაც კი გავმართეთ ერთხელ კრება და გავარჩიეთ საინტერესო საკითხები. ამ ჟამად მუშკორებთან სუსტია ჩვენი კავშირი რასაც თან ახლავს სხვა და სხვა დამბრკოლებელი მიზეზები.

წარმ დაიწყო მუშაობა 1903 წელში დაბადებულ წითელ-არმიელთა შესახვედრად. ვცდილობთ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდები შამოვიკრიბოთ გარშემო.

სამხკორთა წერილებს მეთაურებისაგან დიდი ყურადღება ექცევა, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი აღორძინების საქმეს. წრე ყურადღებას აქცევდა თავიდანვე რომ მეტი უფ-პოლიტშემადგენლობა მოეკრიბა წრის გარშემო, მაგრამ ეს არ მოხერხდა გამოურკვეველი მიზეზის გამო, რასაკვირველია წრეში ირიცხებიან და სისტემატიურად თანამშრომლობენ 6 აბხ. უფ-პოლიტშემადგენლობიდან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამაზე პარტ ბიურო კოლექტივს მიღებული აქვს საჭირო ზომები.

ამ ბოლო დროს წრის მიერ ჩატარებულ იქნა საუბრები უვადო შვებულებაში მიმავალ სამხკორებთან, სოფლკორებისა და მისი მუშაობის შესახებ. ამნაირად ჩვენ მივეცით სამხკორებს ელემენტარული ცოდნა სოფლად მუშაობის შესახებ. უვადო შვებულებაში წამავალ სამხკორებისათვის გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქციის წარმომადგენელმა სპეციალური მოხსენება გააკეთა მათი მუშაობის შესახებ.

რამდენიც დრო გადის, მით უფრო ფართოვდება ჩვენი წრე, პარტიის ხელმძღვანელობაც ლეგიონში უფრო ფართე ხასიათს ღებულობს, რამაც თავისებური დაღი დასვა სამხკორთა მუშაობას. წრემ ამ უკანასკნელად მიაწოდა სოფელს აღზრდილი და გაწვრთნილი გლეხკორები, რომლებიც მომავალში შეებრძოლებიან სოფლის ყოველგვარ უკეთესობისთვის.

მომავლისათვის ლეგიონის სამხკომს და პიტრო კოლექტივს განზრახული აქვთ კიდევ უფრო გააჯანსაღონ სამხკორთა შორის მუშაობა, რასაც გულწრფელად ვესალმებით.

სამხკორი ხ. იმნაიშვილი.

წადილი აგვისრულდა.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ლეგიონში მთელი ზაფხულის განმავლობაში სისტემატიურად მიმდინარეობდა პოლიტ-საათები, რამაც საკმაოდ მოამზადა ჩვენი არმიელები. ასევე იყო კულტურულ მუშაობის სხვა დარგშიც. წრა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია წმინდათ გატარდა. არც ერთი უცოდინარი ამ ჟამად ლეგიონში არ იმყოფება. რაც მთავარია თითეულმა არმიელმა შეისწავლა ერთიმეტიკული ოთხი მოქმედება და ათწილადი ნაწილრეგია.

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ, უაზარმაში კვლავ გავაცოცხლეთ მეცადინეობა და შეუდექით როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური ცოდნის შესწავლას.

პოლიტხელი, პოლიტსაათებთან ერთად გვამეცადინებს, მთემათიკაშიც, რაც დიდ კმაყოფილებას იწვევს არმიელებში.

სამხკორი გ. იაკობაძე.

პარტიული ცხოვრება

5-ოე ტერ-ლეგ. № უჯრედი.

ლეგიონის ცვალებადთა შემადგენლობით შევსებამდე ლეგიონში გამოყოფილი იყო ერთი კომუჯრედი, რომელიც ხელმძღვანელობდა მთელი ლეგიონის პარტ-შემადგენლობას.

ცვალებადელთა გამოწვევამ რიცხობრივად გაზარდა პარტ-შემადგენლობა—და რომ მუშობა არ შეფერხებულიყო საპირო შეიქნა ასეულის უჯრედების დაარსება.

ლეგ. 3-ზე უჯრედი შესდგა მე-3 და 1-ლ ტყვიამფრქვევ გუნდის პარტ-შემადგენლობიდან. სულ უჯრედში შედის 6 პარტიული, 13 პარტ-კანდიდატი.

უჯრედმა მოახდინა აღრიცხვა პარტ-შემადგენლობის, დაანაწილა ამხ. შორის პარტიული დავალებები. კვირაში ერთხელ მართავდა მორიგ კრებას, და ხშირად იმართებოდა სხვა და სხვა საუბრები, აწარმოებდა პარტ-აღმზრდელობითი მუშაობას, როგორც პარტ-შემადგენლობაში, ისე უპარტიო მასაში, ხელმძღვანელობდა ლენინის კუთხეს, მოაწყო და დაარსა სხვა და სხვა ბირთვები, მკითხველთა, ცნობათა, მოსიმღერეთა და სხვ. მიიზიდა წ. არმიელთა მასა რემედასის წევრებად და სხვა. ავალებდა და კუთდებოდა მოხსენებები ყველა კრებებზე. უჯრედი ცდილობდა ყველა ამხანაგები ჩაება აქტიურ-მუშაობაში.

უჯრედს გამოყოფილი ყავს აგრეთვე ამხანაგების მთელი რიგი, რომლებმაც კავშირი უნდა დაიკავონ შვებულებაში წასულ ცვალებადელებთან.

უჯრედი თავის თაოსნობით ხშირად აწყობდა ასეულის წ. არმიელებს შორის პოლიტ და სამხედრო შეჯიბრებს (ბრძოლას).

1-ლ ოქტ. უჯრედის კრებამ მოისმინა მდივნის მოხსენება მუშაობის შესახებ, რომელიც ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

თუმცა ზოგიერთ შემთხვევებში უჯრედში ადგილი ქონდა დეზერტირობას და წესრიგის დარღვევას ამხ. მიერ, მაგრამ ყველა ნაკლულევანებებს თავის დროზედ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

პარტ-კორი შაქრო.

სკოლის გარეშე მუშაკების საგარნიზონო თათბირი.

6 ოქტომბერს დილის 10 საათზე წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გაიხსნა სკოლის გარეშე მუშაკების საგარნიზონო თათბირი.

სამწუხაროდ უდისციპლინობა კიდევ ვერ ჩამოვაშორეთ ქართულმა ნაწილებმა. თათბირს თითქმის ერეკ ერთი ქართ. ნაწილის კლუბის უფროსი და ბიბლიოთეკარი არ დასწრებია; ეს ფრთიად სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს; მით უმეტეს იმ დროს, როდესაც პრინციპიალური კითხვა იყო დასმული დღის წესრიგში.

რეგლამენტი წინასწარ იქნა გამომუშავებული:

პირველი მოხსენება: № 47 ცირკულიარი და ჩვენი არმიის სკოლის გარეშე მუშაობის ამოცანების" შესახებ, გააკეთა პოლიტსამმართველოს მთავარ ინსტრუქტორ ამხ. ვასილიევმა. მან განიხილა სკოლის გარეშე მუშაობა წასულ წლებში და ხაზი გაუსვა ზოგიერთ არა ნორმალურ მდგომარეობას კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მუშაობის სინამდვილეში. მან სთქვა; არმიის, როგორც ზემოხსენებული ცირკულიარი მიგვითითებს, სკოლის გარეშე მუშაობაში ადგილი აქვს ე. წ. „კულტურონობას" და სხვა. ეს ყველაზე უფრო ემჩნევა ნაცდიფიზიებში—აზერბაიჯანის დივიზიას. ამხანაგი ვასილიევი იძლევა მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს და დასკვნაში აღიარებს, რომ საპირო, უფრო მეტი ინიციატივა და ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციის მხრივ ნაწილებში სკოლის გარეშე მუშაობისადმი.

მოხსენება იყო გაკეთებული ჩვეულებრივ ყვილასათვის გასაგებ ენით, რისთვისაც აუდიტორია კმაყოფილი დარჩა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, გამოდიან ამხ. კულიკოვი და რინენბერგი. პირველმა ილაპარაკა სკოლის გარეშე მუშაობაში პარტიულ ხაზის გატარების შესახებ და მეორემ კი სკოლის გარეშე მუშაობის „გასამხედროებაზე".

ორივე თანამოხსენებანი, მეტად შინაარსიანი და დალაგებული აღმოჩნდა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრე ამხანაგებში.

შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც გაგრძელდა 2—2 ნახ. საათი.

ასეთი თათბირები, გარნიზონში მაღალ ინსტანციის გადაწყვეტილებით მოეწყობა სისტემატიურად თვეში ორჯერ, რაც გაანაყოფიერებს ჩვენ მიერ წარმოებულ მუშაობას.

მხოლოდ საპირო ქართულ ნაწილების სკოლის გარეშე მუშაკებმა, არ ჩამორჩენ ამ პრაქტიკულ საქმიანობას და ხელისიანათ მოეკიდონ ასეთ თათბირებს.

დაგო.

უნდა გამოსწორდეს.

3-მე ლეგ. სკოლა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი სკოლის ზემდეგი გაშვებული იქნა უვადო შვებულებაში და მისი ადგილი დაიკავა ამავე სკოლის ერთმა ათეულის მეთაურმა. რაც აღნიშნული თანამდებობა მიიღო ამ ამხანაგმა მას შემდეგ გაეწმინდა ხმა. კურსანტებში დაწყნარებულად ლაპარაკს ვერ ახერხებს. ხშირად არის ისეთი შემთხვევებიც, რომ ეს ამხანაგი მოდის ძალზე მთვრალი, ეჩხუბება უდანაშაულოდ კურსანტებს და აძლევს რიგს გარეშეს.

საჭიროა სკოლის უფროსი ყურადღებას მიაქცევდეს ამ ამხანაგის ოინებს და ასეთი „ქარგ აღმზრდელსა და მაგალითის მაჩვენებელს" მისცემდეს შესაფერ დარიგებას.

კურსანტი გუმბერელი.

2-რე ლეგ. 2-რე ათასეულის ცხოვრებიდან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ათასეულმა გაუშვა უვადო შვებულებაში თავისი წითელი მოლაშქრენი.

ათასეულის უფ. პოლიტ-შემადგენლობამ და ადგილობრივ ორგანიზაციებმა საკმაო ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს. წინასწარ ადგილობრივ აგიტ-პროპიდან იყო მომაგრებული ამხანაგი მინდაძე, რომელიც ატარებდა განსაკუთრებულ მეცდინეობას მომავალ წითელ არმიელებს შორის.

დღეს სულ სხვა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე, რომ მოზადეულად დავხვდეთ ახლად მომავალ სტუმრებს, გაუფაციცებით ვემზადებით.

3 ოქტომბერს გვეწვია ბიურო კოლექტივის მდივანი ამხ. ზ. ეძგვერაძე. მოწვეული იქნა ათასეულის საერთო კრება გურკომის წარმომადგენელთან ერთად. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. მზადება და მომავალი მუშაობა ახალ წვეულთა შესახვედრათ. 2. შეხვედრის მომწყობ კომისიის არჩევა და სხვა და სხვა ორგანიზაციული კითხვები.

1-ლ საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. ეძგვერაძემ, რომელმაც გადასცა კრებას ყველა ის საპირო ცნობები, რომლებიც ახლო მომავალში უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. შეხვედრის მომწყობ კომისიაში არჩეულია, როგორც წითელ არმიელები აგრეთვე უფროლიტ-შემადგენლობა და გურიის კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ეღლენტი. ჩვენ უკვე მზად ვართ ახალ წვეულთა შესახვედრათ.

ძმითელი.

ამგვები სოფლებიდან

ბაზრობა რაჭაში.

ქვემო რაჭაში ე. წ. სიარიშუკო ქალაქზე აწყამად გამართული ბაზრობა ახლო ხანში დაიხურება.

ბანკის განყოფილება გორში.

გორის აღმასკომმა დადგინა შუამდგომლობა აღძრას სახელმწიფო ბანკის წინაშე, გორში ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

შაქრის ქარხანას ააგებენ.

გორის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მ.წ.მოკ. სახ. კომისარიატის წინაშე, რათა ამ უკანასკნელმა გამოიარკვიოს გორის მაზრაში საცდელათ დათესილი ჭარხალი გამოსადეგი იქნება თუ არა იქ გასახსნელათ განზრახულ შაქრის ქარხნისათვის.

სასაკლაო ჭ ათურაში.

შორაპნის აღმასკომმა გადასწვიტა გადასდოს ჭიათურაში სასაკლაოს ასაგებათ 4.100 მანეთი.

თემების შესწავლა.

გორის აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია თემების შესასწავლათ. პირველ რიგში შესწავლილ იქნება წითელ-ქალაქის, კვეთისხევის და მეტეხის თემები.

ეხლანდელი ამბები.

— სამხედრო საშეფო საზოგადოება. მეორე ქართულ დივიზიასთან ეწყობა საშეფო საზოგადოება, რომელიც შეფობას გაუწევს რომელიმე სოფელს.

— წითელ-არმიელთა ცენტრალური კლუბის გახსნა შესდგება ამა თვის 20 რიცხვებში.

— სანიტარული თეატრი. დღეს მოსდება სანიტარული თეატრის გახსნა. დაიდგმება წარმოდგენა წითელ-არმიელებისათვის.

— სპანიოლები მტკვარზე. წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენი საზოგადოება ვერის ბორონთან აწყობს სპეციალურ სამანაო პუნქტს, სადაც ჩადგმულ იქნება მცურავი სამანაო ნავი.

— საჩვენებელი რაიონები მიწადმოქმედების კომისარიატმა შეადგინა გეგმა საცდელ საჩვენებელი სატყეო რაიონების მოსაწყობათ.

— პაპიროსების გასასყიდი პუნქტების რიცხვი მთელ ტფილისში აღწევს 327 აქედან ნახევარს შეადგენენ ინვალიდების არტელის წევრები.

— ხორცის მოხმარება. მიმდინარე წელში საქართველოში დაიკლა 200 ათასზე მეტი მსხვილფეხა და წვრილ ფეხა საქონელი.

ხელოვნება.

— ყველა ხამხედრო ნაწილების საყურადღებოთ ცხადდება, რომ ცუდი ამინდის შემთხვევაში კინოსეანსების ჩვენება გადატანილ იქნება დახურულ შენობაში.

ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობა.

ამერიკავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დებულების პროექტი ძვირფასი ლითონების ნიშნების (პრობი) თვალყურის სადგენებლათ.

— **ა. კ. სახკომსაბჭომ** დამტკიცა დებულება წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენ ამერკავკასიის საზოგადოებისა.

— **ამერიკელ მებამბეების გადმოსახლება.** ა. კ. სახკომსაბჭომ ნება დართო 200 ამერიკელ მებამბის ოჯახს გადმოსახლდენ მეღანის ველზე. გადმოსახლებულებს უნდა ექნეთ მოწმობები ამერიკაში არსებულ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობისა, რომ ისინი არიან კულტურული მეურნენი.

გარდა ამისა, თვითეული მათგანი მოვალეა იქონიოს 500 დოლარი (დოლარი 2 მანეთს უდრის) დაახლოებით) პირველ ხანებში მოსაწყობათ.

აღნიშნულ მეურნეთა გადმოსასახლებლათ შექმნილია ცალკე გადასახლების კომიტეტი.

— **ბიუჯეტის დ ტკიცებამდე** თანხების დახარჯვის წესის შესახებ, ამერიკ-კავკასიის სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი.

პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. ჩემი სურვილით გამოვედი კომკავშირიდან. შეიძლება თუ არა ეხლა ხელახლად შესვლა?

არჩილ ჯოჯუაშვილი.

პასუხი. საერთო წესით შეგიძლიათ შესვლა.

კითხვა. გამოწვეული ვარ 1924 წ. მაისში. ავადმყოფობის გამო ვიქენი განთავისუფლებული ერთი თვით და დაბრუნდი ნაწილში ოქტომბერს. ჩემთან მოსულები გაანთავისუფლეს. როდის გამანთავისუფლებენ?

ქ ვთარაძე.

პასუხი. გაისად, შემოდგომაზე.

კითხვა. გვაქვს საშუალო ცოდნა. გვინდა მოვევმზადოთ და ჩავაბაროთ გამოცდები მეთაურის თანამდებობაზე. მოგვეცემა თუ არა საპირო სახელმძღვანელოები?

ი. კაკაბაძე.

პასუხი. ლიტერატურა უნდა მოგცეთ ნაწილმა.

კითხვა. გამოწვეული ვიყავი 1924 წ. მაისში, მაგრამ შემოდგომამდის დამტოვეს. ოჯახი ჩემი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის, ჩემს მეტი მშრომელი არავინ არ არის. გამანთავისუფლებენ თუ არა ეხლა?

პასუხი. გაგანთავისუფლებენ 1926 წ. შემოდგომაზე.

კითხვა. ვარ საშუალო განათლებით. ვასრულებ ათის თავის მოვალეობას. უნდა გავთავისუფლდე ეხლა, თუ კი ამოცდეს ჩავაბარებ მეუფლის თავის თანამდებობაზე. სად უნდა ჩავაბარო გამოცდები?

დ. ქაბზინაძე.

პასუხი. 1-ლ დივიზიასთან არსებობს გამომცდელი კომისია, რომელსაც უნდა მიმართოდ ნაწილის უფროსის საშუალებით.

პითხვა. წ. არმ. რომელიც მსახურებდა საავიაციო რაზმში, ეხება თუ არა ქვეითა ჯარში, ტერნაწილებში სამსახური?

პასუხი. თუ მიწერილი ხართ უნდა იმსახუროთ.

კითხვა. ეხლა სამსახურიდან მანთავისუფლენ. მომეცემა თუ არა რაიმე ადგილი?

სალაძე.

პასუხი. პირველ რიგში უნდა მოგეცეთ სამსახური, თუ ასეთი თავისუფალი იქნება.

კითხვა. ოჯახური მდგომარეობის გამო შეიძლება თუ არა გადავირიცხო ტერნაწილში. მაქვს შეღავათი. შეცდომით ვიყავი გაყვანილი ძირითად ნაწილში.

მუ.

პასუხი. აღძარით შუამდგომლობა უფროსობის მიხედვით.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.